საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო
ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ
11 სექტემბერი, სამშაბათი. 1990 წ.
№ 172 (10 841) ● ფასი 3 კაპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ რაღაც ორ თვეში დავით გობეჯიშვილი ორჯერ დადგა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. სიეტლში კეთილი ნების თამაშებში გამარჯვების შემდეგ ახლა იგი ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონი გახდა



ტ ო კ ი ო. კვირას „მეტროპოლიტენის“ დარბაზში დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ამ დღეს გამოვლინდნენ მედლების მფლობელნი კიდევ ხუთ წონაში.

ყურადღების ცენტრში იყო მძიმე წონის ათლეტთა გამოსვლა. აქ, მოგეხსენებათ, ფავორიტებად იმყოფებოდნენ სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, თბილისელ დავით გობეჯიშვილს და ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ოქროს მედალოსანს, ამერიკელ ბრიუს ბაუმჰარტნერს, მსოფლიოს ორი უძლიერესი მოჭიდავის ორთაბრძოლა კარგა ხანია საჭიდაო სამყაროს ყურადღების ცენტრში დგას. წლეულს თბილისელი და ამერიკელი ათლეტი ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს უმაღლეს დონეზე სიეტლში, კეთილი ნების თამაშებზე. მაშინ გამარჯვება ქართველმა ფალავანმა მოიპოვა.

ტოკიოში ბაუმჰარტნერს რევანშის აღების ბოლო შანსი ჰქონდა. ეს ჩემპიონატი ალბათ ბოლო შანსი იყო დავით გობეჯიშვილისთვისაც. ამას რომ ვამბობთ, პირველ რიგში, იმ სირთულეებს ვგულისხმობთ, რომელიც თან ახლდა ქართველი მოჭიდავის ნაკრებში ჩარიცხვას. ქვეყნის მთავარ გუნდში გობეჯიშვილი, გახსოვთ ალბათ, დიდი დებატებისა და დისკუსიის შემდეგ მოხვდა, ისიც იმიტომ, რომ ბოლო შეკრებაზე ყველა მეტოქეს მოუგო საკონტროლო შეხვედრები.

ახლა, როგორც ხედავთ, სწორი ყოფილან ისინი, ვინც გობეჯიშვილის კანდიდატურას თავგამოდებით იცავდნენ. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს ისევ გობეჯიშვილი და ბაუმჰარტნერი შეხვდნენ და გამარჯვება ამჯერადაც ქართველმა მოჭიდავემ მოიპოვა. ბრინჯაოს მედალს ამ წონაში სეჩინ აიაკი დაეპატრონა.

საბჭოთა ნაკრებმა ამ დღეს კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა 90 კგ წონით კატეგორიაში — ჩემპიონი გახდა ვლადიკავკაზელი მახარბეკ ხადარცევი, რომელმაც ფინალში ამერიკელ კრის კემპბელს აჯობა.

74 კგ წონის ფინალში ბულგარელი რახმატ სოფიიადი და მახაჩყალელი ნასირ გაჯიხანოვი იბრძოდნენ. გამარჯვება ბულგარელმა ათლეტმა მოიპოვა, გაჯიხანოვს კი ვერცხლის ჯილდო ერგო.

სხვა ორ წონაში საბჭოთა მოჭიდავეებმა ბრინჯაოს მედლები დაიჭიეს. ესენი არიან მახაჩყალელი გამზათ რაშიდოვი (62 კგ) და ბაქოელი ასლან აგაევი (52 კგ). ჩემპიონები კი ამ წონაში შესაბამისად გახდნენ: ამერიკელი ჯონ სმითი (ფინალში დაამარცხა ბულგარელი როზენ ვასილიევი) და ირანელი მაჯედ ტორკანი (ფინალში აჯობა ბულგარელ ვალენტინ იორდანოვს).

ამრიგად, საბჭოთა მოჭიდავეებმა მსოფლიო ჩემპიონატზე ოთხი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

რა ალამაზებს და რა არა შეჯიბრებას

ჩემპიონატის ჩატარების დრო — სექტემბრის დასაწყისი, სპეციალისტთა აზრით, მეტად არახელსაყრელი იყო, მაგრამ მის ორგანიზატორებს შესაძლოა მეტი გამოსავალი არც ჰქონდათ: ოქტომბრის პირველ დეკადაში სწორედ თბილისში ტარდება საკავშირო თასის გათამაშება და, ბუნებრივია, საქართველოს ჩემპიონატი ერთგვარი შესარჩევი ეტაპი უნდა ყოფილიყო ჩვენი გუნდის მზადებისა. თავდაპირველი განცხადებით, ასპარეზობაში თითქმის ყველა ჩვენს წამყვან სპორტსმენს უნდა მიეღო მონაწილეობა (მსოფლიო ჩემპიონატზე წასული სამეულის გარდა), მაგრამ უკვე ასპარეზობისას გაირკვა, რომ დანაკლისი უფრო მეტი იყო.

არაერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ საქართველოს ჩემპიონატები უნდა ტარდებოდეს გამორჩეული ორგანიზებულობით, მას უნდა ჰქონდეს სერიოზული, მაღალი რანგის შეჯიბრებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანთვისება. მაგრამ ასპარეზობების მაღალ დონეზე ჩასატარებლად შესაფერისი ბაზები თითებზე ჩამოგვითვლება და ისინიც ხშირად გადატვირთულია, სხვა დარბაზებში კი შეჯიბრება ელფერს კარგავს. ფალავანთა კლუბის დარბაზი, სადაც ჩემპიონატი გაიმართა, განკუთვნილია საწვრთნო-სასწავლო პროცესისთვის და იქ ესოდენ პრესტიჟული ღონისძიების ჩატარება უხერხულიც კია, მაგრამ ნათქვამია, გაჭირვება მიჩვეულო...

რაც შეეხება უშუალოდ ჩემპიონატს, დასაწყისშივე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგი მოჭიდავე ჯერ არ იყო სათანადო ფორმაში, მაგრამ ორთაბრძოლები, საერთოდ, დაძაბულად მიმდინარეობდა და ასპარეზობა თვით ტიტულოვანი სპორტსმენებისათვისაც არ ყოფილა იოლი. განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემპიონატის ბოლო დღე, როდესაც ფინალური შეხვედრები გაიმართა:

48 კგ წონით კატეგორიაში ყვარელელი ზურაბ ღონიაშვილი ონელ ფრიდონ გობეჯიშვილს ხვდებოდა. ღონიაშვილი თავიდანვე აქტიურობდა, რამდენიმე ქულა აართვა მოწინააღმდეგეს და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა.

ზოგ შეხვედრაში საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. მაგალითად, სოხუმელ ხვიჩა გოგიჩაიშვილისა და თბილისელ გელა ფოჩხუას შერკინებაში (62 კგ) ანგარიში 6:6 იყო შეხვედრის დამთავრებისას და ფოჩხუას სამ წუთზე ცოტა მეტი დრო დასჭირდა გა-

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

ფრე და გამარჯვება

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — 12:12 (5:2, 3:5, 3:3, 1:2).

თბილისი. „ვერეს“ საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი. 8 სექტემბერი.

„დინამო“: კერესელიძე, გიორგაძე, ჩომახიძე, გოგიშვილი, ბითაძე, კუტივაძე, ხარებოვი, დავითიანი, კანდელაკი, მაჭავარიანი, რამიშვილი, ახათიანი, ტუკვაძე.

„ლოკომოტივი“: ხოხნენკო, კოვალიოვი, ბეზვერნიხი, შევცოვი, მაკაგონოვი, ვაკრამეევი, ჩოჩორტკინი, სოხნოვსკი, ბეზვეხიოლნი, გუდინი, გონჩაროვი, გრინკო, ხამხონოვი.

მსაჯები: თ. მურადოვი (აშხაბადი), ი. აფანასიევი (ლენინგრადი).

მატჩის დაწყების წინ თბილისელთა გუნდის ყოფილმა მოთამაშემ და ამჟამად „დინამოს“ ახალბედა მწვრთნელმა გიორგი ზუმბულიძემ (იგი სულ რამდენიმე თვეა, რაც მწვრთნელად მუშაობს) აღნიშნა, რომ დინამოელებს ჩემპიონატის პირველი წრის ყველა შეხვედრაში გამარჯვება აქვთ „დაგეგმილი“. პროგნოზები სპორტში ცოტა სარისკო საქმეა, არადა, წინა მატჩის შედეგი (მშვენიერი გამარჯვება ვოლგოგრადის „სპარტაკთან“) და ხარკოველე-

იხ. მე-4 გვ.



ს უ რ ა თ ზ ე: შეტევაზეა ზვიად დავითიანი.

რა ალამაზებს და რა არა შეჯიბრებას

(დასასრული)

დამწყვეტი ქულის მოსაპოვებლად. ორი მსოფლიო ჩემპიონი (ახალგაზრდებსა და ჯაბუკებს შორის) ხვდებოდა ერთმანეთს 68 კგ წონით კატეგორიაში და ორივე გორის ჰიდაობის სკოლის წარმომადგენელია — ზაზა ზოზიროვი და გიორგი ხინჩიკაშვილი. ჰიდაობის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, რომ ზოზიროვი აქამდე 62 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, მაგრამ ახლა მას წონა მოემატა. როგორც მოსალოდნელი იყო, ხალიჩაზე უშეღავათო ბრძოლა გაიმართა. უპირატესობას ვერც ერთმა ვერ მიაღწია, მეტოქეებმა ორ-ორი ქულა „გაცვალეს“ და ძირითადი დროც ასე დამთავრდა, დამატებით ოთხ წუთამდე დრო დასჭირდა გიორგი ხინჩიკაშვილს გამარჯვების ქულის მოსაპოვებლად და გორის ეკონომიკური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი საქართველოს ჩემპიონი გახდა. 74 კგ წონაში ვეტერანი და ახალგაზრდა სპორტსმენი ხვდებოდნენ ერთმანეთს: ყვარელი გია ივანიშვილი მსოფლიო თასის მფლობელია ახალგაზრდებს შორის, თბილისელი ნუგზარ პატარაშვილი კი საკმაოდ გამოცდილი მოჭიდავეა. ამ შეხვედრაში გაიმარჯვა ახალგაზრდა მეტოქემ.

დრამატული ორთაბრძოლა გაიმართა გორელ ჯონი მოდოსიანსა და სოხუმელ დავით ხურციას (82 კგ) შორის: ძირითადი დრო 2:2 დამთავრდა. დამატებით კიდევ 17 წუთი (!) გახდა საჭირო გამარჯვებულის გამოსავლენად. ეს ერთი „ოქროს ქულა“ დავით ხურციამ აართვა მეტოქეს...

მძიმე წონაში თბილისელმა მერაბ ვალიევმა რუსთაველი კობა ლოჩოშვილი დაამარცხა.

საქართველოს ჩემპიონატზე პრიზიორებისათვის დაწესებული იყო ფულადი პრემიები, შესაბამისად 200, 150 და 100 მანეთის ოდენობით. ყვარლელებმა კი, თავის ორ ჩემპიონს 500-500 მანეთი ჯილდო გადასცეს.

— ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონატის ორგანიზაცია კიდევ მოითხოვს დახვეწას, — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ედიშერ მაჩაიძემ, — უნდა აძაღლდეს მონაწილეთა დონე, მათი საშეჯიბრებო კულტურა. მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით კი უკეთესადაა საქმე. სამწუხაროდ, მსაჯობის დონეც ჯერ კიდევ დაბალია. საჭიროა ყველა პრობლემის სწრაფად გადაწყვეტა, რათა შემდგომში ჩემპიონატები უფრო კარგად ჩატარდეს.

საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის ჯუმბერ დავლიანიძის აზრით, ბევრ შემთხვევაში სიტუაციას ამწვავებდა არა მსაჯთა შეცდომები, არამედ მონაწილეთა და მწვრთნელთა თავშეუკავებლობა.

— სამწუხაროდ, ჩემპიონატში ტრავმის გამო ვერ მიიღეს მონაწილეობა ზაზა თურმანიძემ და მამუკა რაზმაძემ, — გვითხრა ჰიდაობის რესპუბლიკურ გაერთიანების თავისუფალი ჰიდაობის განყოფილების გამგემ ვაჟა იმერლიშვილმა, — არადა, მათი გამოსვლა გაალამაზებდა ასპარეზობას. ჩემპიონატის მონაწილენი სასწავლო წლის დასაწყისისთვის ცუდად არ იყვნენ მომზადებულნი. პასიურობისათვისაც ბევრი მოჭიდავე არ მოუხსნიათ. ყოველ სპორტსმენს შეგნებული აქვს საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის პასუხისმგებლობა, ამასთან, ცდილობენ მოხვდნენ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში და სხვა რანგის შეჯიბრებებშიც მიიღონ მონაწილეობა. ვიმეორებ, ყველა მოჭიდავე თავდაუზოგავად იბრძოდა. გამოვლინდნენ ნაკრები გუნდის კანდიდატებიც, რომლებიც 17 სექტემბრიდან შეუდგებიან ერთობლივ მზადებას საკავშირო თასის გათამაშებისთვის. მსაჯობის საკითხი ჯერ ისევ მოსაგვარებელია, მაგრამ აქვე მინდა ვთქვა, რომ არავის ეპატიება მსაჯებისა თუ სხვათა შეურაცხყოფა, — არც მწვრთნელებს და არც თვით მოასპარეზეებს. მომავალისთვის ამ საკითხსაც აუცილებლად საგანგებო ყურადღება უნდა დავუთმოთ. თან, როგორც ხედავთ, ეს საშეჯიბრო დარბაზი არ გახლავთ და რთულ პირობებში მოგვიხდა ჩემპიონატის ჩატარება.

ჩემპიონატში, ტრადიციულად, და ეს ფრიად სამწუხაროა, ერთი და იგივე რაიონების წარმომადგენლები ასპარეზობენ, თუმცა ბოლო დროს ყვარელში სერიოზულად ეკიდებიან თავისუფალ ჰიდაობას. სამწუხაროდ, ამ ჩემპიონატში საგარეჯოს რაიონს არ მიუღია მონაწილეობა. მიზეზი ჯერ არ ვიცით. რაც შეეხება თელავს, რამდენი წელია, იქაურ მოჭიდავეებს შეჯიბრებებზე ვეღარ ვხედავთ.

ბია ბურდული

კვარცხლბეკი

48 კგ. 1. ზ. ღონიაშვილი (ყვარელი), 2. ფ. გობეჯიშვილი (ონი), 3. ა. ბაირამოვი (მარნეული).



52 კგ. 1. ნ. ნასყიდაშვილი (თელავი), 2. ბ. ქარდავა (სოხუმი), 3. ნ. ჭკუასელი (სოხუმი).

57. კგ. 1. დ. პოღოსიანი (გორი), 2. მ. ჯაფარიძე (თბილისი), 3. ლ. მენაბდიშვილი (რუსთავი).

62 კგ. 1. გ. ფოჩხუა (თბილისი), 2. ხ. გოკიჩაშვილი (სოხუმი), 3. ა. ყოჩიაშვილი (ტბელისი).

68. კგ. 1. გ. ხინჩიკაშვილი, 2. ზ. ზოზიროვი, 3. ხ. სანაშვილი (სამივე — გორი).

74 კგ. 1. გ. ივანიშვილი (ყვარელი), 2. ნ. პატარაშვილი (თბილისი), 3. მ. როზომაშვილი (ყვარელი).

82 კგ. 1. დ. ხურცია (სოხუმი), 2. ჯ. მოდოსიანი (გორი). 3. ე. კურტანიძე (სოხუმი).

90 კგ. 1. ა. ჩხაიძე, 2. ა. მგელაძე (ორივე — ქუთაისი), 3. გ. გულბანი (სოხუმი).

100 კგ. 1. ზ. ტყეშელაშვილი (თბილისი), 2. გ. უბილავა (სოხუმი), 3. რ. ბუზარიაშვილი (ყვარელი).

მძიმე. 1. მ. ვალიევი (თბილისი), 2. კ. ლოჩოშვილი (რუსთავი), 3. გ. ჯანელიძე (ქუთაისი).



ზურაბ ღონიაშვილი

ნუგზარ ნასყიდაშვილი



დავით პოღოსიანი

გელა ფოჩხუა



გიორგი ხინჩიკაშვილი



გია ივანიშვილი



დავით ხურცია



აკაკი ჩხაიძე



ზაზა ტყეშელაშვილი



მერაბ ვალიევი

გამოარჩიეს სტილითა და ტემპერამენტით

ამ ფოტოზე, რომელიც ბულგარეთის ქალაქ ბლაგოევგრადშია გადაღებული, აღბეჭდილია თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მაკა წიწუაშვილი. მან ეს-ესაა აქ გამართულ მოზარდ ჩოგბურთელთა მეტად საპატიო ტურნირის — „გრან პრის“ ერთ-ერთი სერიალის — დაძაბულ ფინალურ ორთაბრძოლაში სძლია მასპინძელ თეოდორა ნედევას (გულმოკლული რომ გასცქერის გამარჯვებულ მეტოქეს) —4:6, 6:4, 7:5 და რევანში აიღო ამ სერიალის სოფიის ტურნირის ფინალურ მატჩში ბულგარელ მარია ჟილიანოვასთან. დამარცხებისათვის (3:6, 4:6).

ბლაგოევგრადში გამარჯვებულისთვის საპრიზო ფონდი 100 დოლარს შეადგენდა, ჩვენი და ბულგარელი სპორტსმენების გარდა, პრიზისთვის იბრძოდნენ საბერძნეთის, ისრაელის, კვიპროსის, იუგოსლავიის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და ბელგიის წარმომადგენლები.

გაზეთ „პირინსკი დელოს“ კორესპონდენტი მ. წიწუაშვილის გამოსვლის შესახებ წერდა: „თბილისელი სპორტსმენი კორტზე გამოირჩეოდა ტემპერამენტით. განსაკუთრებით ძლიერია იგი უკანა ხაზიდან თამაშისას, საკმაოდ ძლიერად ურტყამს ბურთს. მან გვიჩვენა ნამდვილი ქართული სტილი, რომელიც ტექნიკური არსენალით ბევრად სჯობია ბულგარულს“.

ეს დინამოელი სპორტსმენის ერთადერთი წარმატება არაა. წლევანდელ სეზონში იგი კარგად გამოვიდა მოზარდთა ევროპის თასის გათამაშებაში, სადაც ქვეყნის ნაკრების ღირსებას იცავდა. წიწუაშვილმა თავისი წვლილი შეიტანა ამ გუნდის ჯერ ნახევარფინალურ შეხვედრებში გამარჯვებაში (ჰოლანდიის კორტებზე), შემდეგ კი ფინალში (ინგლისი) — მესამე საპატიო ადგილის მოპოვებაში.



გამოხმაურება

შემაქვს ერთი თვის ხელფასი

თქვენი გაზეთის 2 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „მომავალი ჩვენია“ ზაურ საგინაძე აყენებს საინტერესო და, ჩემი აზრით, მისაღებ წინადადებას ეროვნული ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის ჩატარების შესახებ.

უდავოა, ეს იქნება ისტორიული მოვლენა ქართული სპორტის ისტორიაში. ვფიქრობ, საიუბილეო საზეიმოსა უნდა მოიცვას მთელი საქართველო, ყველა სფერო.

ბუნებრივია, ზეიმის ცენტრი გახდება თბილისი, მაგრამ კარგი იქნება თუ სპორტული და სანახაობითი ღონისძიებები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებშიც ჩატარდება. საიუბილეო მზადება დიდ სტიმულს მისცემს ეროვნული ფეხბურთის შემდგომ აღმავლობას.

ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც ალბათ სათავეში ჩაუდგება ამ კეთილშობილურ საქმეს, უნდა შექმნას კომისია გამოჩენილ სპორტსმენთა მონაწილეობით, რომელთა ავტორიტეტი ცნობილია სპორტული სამყაროსათვის.

ფინანსურ სიძნელეებს ნუ შევუშინდებით. ყველა ქართველი შეძლებისდაგვარად გაიღებს გარკვეულ თანხას. საჭიროა გაიხსნას სპეციალური ანგარიში სახელმწიფო ბანკში. პირადად შემაქვს ერთი თვის ხელფასი.

მერაბ ნავროზაშვილი.
თბილისი.

ფეხბურთელებო, თქვენთვის!

ზონალურ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების ფეხბურთელთათვის გუნდიდან გუნდში გადასვლის ვადა გაგრძელებულია 19 სექტემბრამდე.

რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „იბერია“ (თბილისი) 1:3 (0:1).

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 9 სექტემბერი.

„შევარდენი-1906“: გვენცაძე, ელიოშვილი (ობოლაძე), ხამხარაძე, ჩადუნელი, ძნელაძე, კოპალეიშვილი, შალამბერიძე, ყულიაშვილი, ყიფიანი, ზეიკიძე (ტარტარაშვილი), მინაშვილი

„იბერია“: ხაპოვი, არზიანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, ქველაძე (მაჭავარიანი), გურული, გოგიჩაიშვილი (ყიზილაშვილი).

მსაჯები: მ. მაღლაფერიძე, ა. კანდელაკი, პ. დოგრაშვილი (ხამიევ — ქუთაისი).

„შევარდენი-1906“-ის რიგებში ამ დღეს არ თამაშობდა გუნდის ლიდერი ქობელაშვილი, რომელიც ბათუმის „ბათუმთან“ შეხვედრაში გაძევეს მინდვრიდან. ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ გუნდი ადვილად დათმობდა შეხვედრას. მოხდა კი პირიქით. მასპინძლებმა შესაშური მეტოქეობა გაუწიეს ლიგის ლიდერს.

შეხვედრა მაღალ ტემპში დაიწყო. „იბერია“ უტევდა, „შევარდენი-1906“ კი თავის თამაშს ძირითადად კონტრიერიშებზე აგებდა. ამას მოჰყვა ყიფიანის ძლიერი დარტყმა და ხაპოვმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია ბურთი. მერე ქეცბაიამ წამოიწყო იერიში, მაგრამ მეკარე გვენცაძე ადგილზე დახვდა ბურთს. ცოტა ხანში ჩადუნელის მიერ შორი მანძილიდან დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს. ანგარიში მხოლოდ 25-ე წუთზე გაიხსნა, როცა გურულმა გოგიჩაშვილის ზუსტი პასი მიიღო და თავური დარტყმით მეკარისაგან მარცხენა კუთხეში მოათავსა ბურთი. გატანილმა ბურთმა სტუმრები კიდევ უფრო გააქტიურა, მაგრამ, თუ პირველ ნახევარში ანგარიშში მეტი ცვლილება არ მომხდარა, ეს უპირველესად გვენცაძისა და მცველების — ძნელაძისა და სამხარაძის დამსახურებაა.

შეხვედრის მეორე ნახევარი უფრო საინტერესო გამოდგა. ფეხბურთის გულშემატკივრებს ჰქონდათ საშუალება ამ მატჩის II ტაიმის ვიდეოჩანაწერის ნახვისა, და, დაგვეთანხმებით, გოლები, რომლებიც ამ მატჩში გავიდა, ნებისმიერი რანგის საფეხბურთო ასპარეზობას დაამშვენებდა. 65-ე წუთზე რევიშვილმა აიძულა მასპინძლები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში — შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა და, მართლაც, ულამაზესი ბურთი გაიტანა. ამის შემდეგ ყიფიანმა გასაოცარი უნარი გამოიჩინა — უშვიათესი ფინტებით თითქმის ნახევარი გუნდი მოატყუა და იმდენად ლამაზი გოლი გაიტანა, რომ მაყურებელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს. სტუმართა გუნდის წევრებიც კი ულოცავდნენ ლევანს ლამაზ თამაშს. ეს იყო, ალბათ, სეზონის საუკეთესო გოლი და, რაც უნდა ვილაპარაკოთ, იგი უნდა ნახო, მას ვერ აღწერ კალმით. ორიოდე წუთში ქეცბაიამაც ძლიერი დარტყმით მესამედ აიღო გვენცაძის კარი.

აღსანიშნავია მეორე ტაიმში ჯიშკარიანის კარგი თამაში, რომელსაც ორჯერ ჰქონდა ანგარიშის გაზრდის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ერთხელ ძელმა აისხლიტა ბურთი, ხოლო მეორეჯერ საკმაოდ მწვავე სიტუაცია შეიქმნა: მესი დარტყმა კუთხურზე მოიგერია გვენცაძემ, კუთხურიდან ცხადაძემ მიიღო საჯარიმოში ბურთი, მეკარემ რაღაც სასწაულით იხსნა კარი, განმეორებით დარტყმას კი ძნელაძე დახვდა ადგილზე და „შევარდენის“ კარი გადაურჩა აშკარა გოლს.

1:3 — „შევარდენი-1906“ დამარცხდა, მაგრამ გუნდმა ბრძოლის საოცარი ჟინი და გამარჯვების წყურვილი გამოავლინა.

ინგა ჩახვაშვილი

თამაშობენ „შევარდენი-1906“ და „იბერია“
ანზორ კოპლამაზაშვილის ფოტო.

„სამგურალი“ (წყალტუბო)— „მერცხალი“ (ოზურგეთი) 3:1 (2:0).

„სამგურალი“: მიქაძე, ჩიხლაძე, წიქარიშვილი, ჩხაბერიძე, ოინანიძე (ლ. ფეტვინიძე), ხვიტია, ცნობილაძე, კერესელიძე, მოგელაძე (მოხეშვილი), ხუნდაძე, ხარაბაძე.

„მერცხალი“: ზოიძე, ხამაშურიძე, ათუაშვილი (ცერცვაძე), ბერიშვილი, კალატოზიშვილი, მყავანაძე, ბარამიძე, კაშია (კალანდაძე), თეთრაძე, ჩხაიძე (ნასუაშვილი), ჩიგოგიძე.

მსაჯები: გ. სეფიაშვილი, ლ. ჩიტაია, ჯ. შილაკაძე (ხამიევ — თბილისი).

გააფრთხილეს ლ. ფეტვინიძე.

თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო, რადგან გუნდები კარგად იცნობენ ერთმანეთს. წლეულს ეს მათი მესამე შეხვედრა იყო. მატჩის დასაწყისიდანვე იგრძნობოდა წყალტუბოელთა უპირატესობა და მე-8 წუთზე ხუნდაძემ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. არც ამის შემდეგ გაუშვიათ ხელიდან მასპინძლებს ინიციატივა. პირველ ტაიმში ისინი სრულად ფლობდნენ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას. წყალტუბოელთა ერთ-ერთი შეტევის დროს ბურთის მოგერიება სცადა სტუმართა მცველმა ხამაშურიძემ. მეკარე ზოიძე ამ დროს კარის მარშრუტით იდგა და ვერ მისწვდა თანაგუნდელის ფეხიდან ასხლეტილ ბურთს — 0:2. ეს მოხდა 25-ე წუთზე. ათიოდე წუთის შემდეგ ჩიგოგიძე პირისპირ გავიდა მეკარე მიქაძესთან, მაგრამ უზუსტოდ დაარტყა.

მეორე ნახევარი სტუმართა იერიშებით დაიწყო, მასპინძლები კი მხოლოდ კონტრშეტევებით კმაყოფილდებოდნენ. 75-ე წუთზე ოზურგეთელმა ბერიშვილმა საჯარიმო დარტყმით გაქვითა ერთი ბურთი, მაგრამ მალე, 84-ე წუთზე, კერესელიძემ კვლავ ორი ბურთის სხვაობით დააწინაურა თანაგუნდელები. 3:1 — გაიმარჯვა „სამგურალმა“.

ომარ ჯუმბურიძე,
„ლელოს“ კორ.

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XXIV ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ხობის „კოლხეთმა“ გორში უმასპინძლა საფეხბურთო კლუბ „ბათუმს“ და დამარცხდა — 0:4, ცხინვალის „ლიახვისა“ და „კოლხეთი-1913“-ის (ფოთი) შეხვედრა კი, რომელიც ხაშურის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა, დამთავრდა ფოთელთა გამარჯვებით ანგარიშით 8:1.

ვინ იქნება 51-ე?

რამდენიმე დღეც და გაიმართება 1990-1991 წლების ევროპის ხაფეხბურთო საკლუბო ტურნირების გათამაშების პირველი მატჩები. ამ ტურნირების ისტორიის მანძილზე ევროპის ქვეყნების რვა კლუბმა მოიპოვა საპატიო პრიზები.

ბოლო გათამაშება ერთგვარად საიუბილეო იყო: იტალიის „სამპდორია“ გახდა 50-ე გუნდი, რომელმაც ევროპის საკლუბო ტურნირის პრიზი მოიპოვა.

ქვემოთ, ფეხბურთის მოყვარულებს გვინდა შევთავაზოთ ცხრილი, სადაც ნაჩვენებია, რომელი კლუბი ფლობდა ამა თუ იმ პრიზს და რამდენჯერ.

პირველ სვეტში მინიშნებულია ჩემპიონთა თასზე მოპოვებული წარმატება (ჩთ), მეორეში — თასების მფლობელთა თასზე (თთ), მესამეში — უეფა-ს თასზე (უთ). ბოლო სვეტში (ს) მინიშნებულია გამარჯვებათა საერთო რაოდენობა.

	ჩთ	თთ	უთ	ს
1. „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)	6	—	2	8
2. „ლივერპული“ (ინგლისი)	4	—	2	6
3. „მილანი“ (იტალია)	4	2	—	6
4. „ბარსელონა“ (ესპანეთი)	—	3	2	5
5. „აიაქსი“ (ჰოლანდია)	3	1	—	4
6. „ბაიერნი“ (გფრ)	3	1	—	4
7. „იუვენტუსი“ (იტალია)	1	1	2	4
8. „ანდერლეხტი“ (ბელგია)	—	2	1	3
9. „ვალენსია“ (ესპანეთი)	—	1	2	3
10. „ტოტენჰემი“ (ინგლისი)	—	1	2	3
11. „ბენფიკა“ (პორტუგალია)	2	—	—	2
12. „ინტერი“ (იტალია)	2	—	—	2
13. „ნოტინგემი“ (ინგლისი)	2	—	—	2
14. „ჰამბურგი“ (გფრ)	1	1	—	2
15. „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია)	1	—	1	2
16. „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)	1	—	1	2
17. „დინამო“ (კიევი)	—	2	—	2
18. „ლიდსი“ (ინგლისი)	—	—	2	2
19. „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი, გფრ)	—	—	2	2
20. „გეტებორგი“ (შვეცია)	—	—	2	2
21. „სელტიკი“ (შოტლანდია)	1	—	—	1
22. „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი)	1	—	—	1
23. „ასტონ ვილა“ (ინგლისი)	1	—	—	1
24. „სტიაუა“ (რუმინეთი)	1	—	—	1
25. „პორტო“ (პორტუგალია)	1	—	—	1
26. „ფიორენტინა“ (იტალია)	—	1	—	1
27. „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი)	—	1	—	1
28. „სპორტინგი“ (პორტუგალია)	—	1	—	1
29. „ვესტ ჰემი“ (ინგლისი)	—	1	—	1
30. „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ)	—	1	—	1
31. „სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია)	—	1	—	1
32. „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი)	—	1	—	1
33. „ჩელსი“ (ინგლისი)	—	1	—	1
34. „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია)	—	1	—	1
35. „მაგდებურგი“ (გდრ)	—	1	—	1
36. „დინამო“ (თბილისი)	—	1	—	1
37. „აბერდინი“ (შოტლანდია)	—	1	—	1
38. „ევერტონი“ (ინგლისი)	—	1	—	1
39. „მეჰელენი“ (ბელგია)	—	1	—	1
40. „სამპდორია“ (იტალია)	—	1	—	1
41. „რომა“ (იტალია)	—	—	1	1
42. „სარაგოსა“ (ესპანეთი)	—	—	1	1
43. „ფერენცვაროში“ (უნგრეთი)	—	—	1	1
44. „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია)	—	—	1	1
45. „ნიუკასლი“ (ინგლისი)	—	—	1	1
46. „არსენალი“ (ინგლისი)	—	—	1	1
47. „აინტრაჰტი“ (გფრ)	—	—	1	1
48. „იფსვიჩი“ (ინგლისი)	—	—	1	1
49. „ბაიერი“ (ლევერკუზენი, გფრ)	—	—	1	1
50. „ნაპოლი“ (იტალია)	—	—	1	1
სულ:	35	30	31	94

ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან!..

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ვ. კოლოსკოვი ამას წინათ ესაუბრა გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტს ლ. ლებედევს. ეს ინტერვიუ გამოქვეყნებულია გაზეთის 9 სექტემბრის ნომერში.

საუბარი ვრცელ საფეხბურთო თემაზე წარმოებდა, ვ. კოლოსკოვმა რამდენიმე შეკითხვაზე გასცა პასუხი და ამ ინტერვიუში ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა კავშირის ფეხბურთის მთავარმა ჩინოვნიკმა და ბიუროკრატმა თავისი ძველი პოზიციებიდან აშკარად უკან დაიხია, ჩანს, რომ იგი ეძებს ახალ, ალტერნატიულ გზებს თავისი „სამფლობელოს“ ინტერესების გადასარჩენად. თუ წინათ ვ. კოლოსკოვი კატეგორიულად მოითხოვდა, ყველა რესპუბლიკის უყოყმანო გაერთიანებას საკავშირო ფედერაციაში, გააფთრებით იბრძოდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციასა და ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირში მათი გზების საგულდაგულოდ გადასაკეტად, ახლა იგი ცდილობს გამოძებნოს კომპრომისული საშუალებანი, რათა შეინარჩუნოს, დამოუკიდებელ ფედერაციათა ერთგვარი საკავშირო ალიანსი.

პირველი გადამჭრელი ნაბიჯი, როგორც იცით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გადადგა, რომელმაც ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა საკავშირო ფედერაციასთან. საქართველოს მიჰყვა ლიტვაც, ისიც მალე გაეთიშა საკავშირო ფედერაციას. ამის მერე ცალკე ჩემპიონატის ჩატარების იდეას მხარი დაუჭირა მოლდოვამ, საყოველთაო საკავშირო დეჭატისგან თავის დაღწევის მიზნით ხმა ამოიღო ბელორუსიამაც, რომელსაც აშკარად დისკრიმინაციული ზრახვით გადაუტანეს უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეტად დიდმნიშვნელოვანი მატჩი. თვით უკრაინაშიც კი, რომელიც ახლა ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფეხბურთო რეგიონია ევროპაში, სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკას სრული პრაქტიკული შესაძლებლობა აქვს დიდი მასშტაბის, ავტორიტეტული საკუთარი ჩემპიონატი ჩაატაროს თავისი გუნდების მონაწილეობით უმაღლეს და პირველ ჯგუფებში.

ვ. კოლოსკოვმა თავის დროზე ალბო ვერ აუღო, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობა მარტო პოლიტიკას კი არ ეხება, რომ სპორტიც იმ მოწინავე პოზიციაზე უნდა დადგეს, სადაც ხალხი დგას, ვინაიდან ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და პოპულარული სახეობაა. ამდენად ფეხბურთში მიმდინარე პროგრესული პროცესები უშუალოდ ეხმაურება საერთო ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. და, აი ვ. კოლოსკოვმაც იკადრა თვალი გაეხილა და უფრო საღად, რეალურად შეეხედა მოვლენათა შსვლელობისთვის. ამის თაობაზე ინტერვიუში მან თვითვე განაცხადა:

— გასაგებია, რომ ის პროცესები, რომლებიც საზოგადოებრიობაში ხდება, ფეხბურთშიც პოულობს ასახვას და, თუმცა, ფიფა-ს წესდება კრძალავს სეპარატისტულ განწყობილებებს, იგი ერთი ქვეყნიდან მხოლოდ ერთ ორგანიზაციას აღიარებს, მაინც, საკავშირო ფედერაცია უზურპაციის გზას არ უნდა დაადგეს, პირიქით, რესპუბლიკური ფედერაციების უფლებამოსილებანი საჭიროა მაქსიმალურად გაიზარდოს. დღეს, როგორც ხედავთ, რესპუბლიკები არა მარტო ფიზკულტურული კოლექტივების პირველობებს ატარებენ, არამედ თავიანთ ჩემპიონატებს მართავენ ოსტატთა გუნდების მონაწილეობით. რესპუბლიკებს უფლება აქვთ კონტროლი გაუწიონ თავიანთი ფეხბურთელების უცხოეთის ქვეყნებში კონტრაქტით გამგზავრებას, აგრეთვე, ამხანაგური და კომერციული საერთაშორისო შეხვედრების რეგულირებას. მინდა ხაზი გავუსვა, რომ მზად ვართ განვიხილოთ რესპუბლიკური ფედერაციების ყოველგვარი წინადადება.

თითოეული რესპუბლიკის ფედერაციას უფლება აქვს თვითვე განსაზღვროს საკავშირო საფეხბურთო ფედერაციის წევრობა და, თუმცა, საქართველოსა და ლიტვის ფედერაციები ჯერ კიდევ გარკვეულ სიძნელეებს განიცდიან, მომავალი განსაზღვრავს მათი გადაწყვეტილების მართებულობას.

აქ ვ. კოლოსკოვი კვლავ უბრუნდება იმ საკითხს, რომ რესპუბლიკური ჩემპიონატები ჯერჯერობით ვერ მიმდინარეობს მაღალ სპორტულ დონეზე, შეჯიბრებებში მონაწილე კლუბებსაც მრავალი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი, მაგრამ მან ისიც კარგად შეიგრძნო, რომ მთიდან დაგორებულ ქვას ასე იოლად ვერ გააჩერებ, იგი ქვეშ მოიყოლებს ყველას, ვინც კი წინააღმდეგობის სურვილითაა ატაცებული. შემდგომში საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე ერთგვარ კომპრომისულ გამოსავალს გვთავაზობს:

— ჩვენ მზად ვართ სიაბლეების დასანერგად, მაგრამ საამისოდ საჭიროა საერთო ძალისხმევა და ურთიერთშეთანხმება, ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ისაა, რომ ამ საქმეებში არ ჩაერიოს გარეშე ვინმე, თავიანთი ბედი თვითვე უნდა გადაწყვიტონ გუნდებმაც და ფეხბურთელებმაც. ყოველნაირ შემთხვევაში მიზანშეწონილია გამოვძებნოთ საკავშირო შეჯიბრებათა უფრო სრულყოფილი სისტემა, შესაძლოა ჯობია ჩავატაროთ არა სსრ კავშირის ჩემპიონატი, როგორც ეს უწინ იყო, არამედ ფეხბურთის ფედერაციის პირველობა და მაშინ ამას უფრო სწორი გამოხმაურება ექნება მოკავშირე რესპუბლიკათა მხრივ. არის სხვადასხვა ვარიანტი. მაგალითად, გვთავაზობენ პირველ ეტაპზე გაიმართოს რესპუბლიკური ჩემპიონატები, ხოლო მეორე ეტაპზე — საკავშირო ტურნირი, რომელიც გამოავლენს პრიზიორებს და ევროპის საკლუბო შეჯიბრებათა მონაწილეებს. მეორე ვარიანტით შესაძლოა, რომ უმაღლეს ლიგაში შევიდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უძლიერესი გუნდები, დანარჩენებმა კი მონაწილეობა მიიღონ თავიანთი რესპუბლიკების პირველობაზე. არის შესამე ვარიანტიც: უმაღლესი ლიგის ფორმირება ხდება სპორტული პრინციპით, როგორც ახლაა, პირველი ლიგის შემადგენლობა კი გაიზრდება 40-44 გუნდამდე, სადაც ყოველი რესპუბლიკიდან შევა სულ ცოტა 2-2 გუნდი. ეს ადგილები რესპუბლიკებს შეენახებათ, ოღონდ თავიანთ წარმომადგენლობას ისინი განსაზღვრავენ საკუთარ, დამოუკიდებელ შეჯიბრებათა შედეგების მიხედვით. შესაძლოა სხვა ვარიანტებიც. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი ამ წინადადებებს განიხილავს 21 სექტემბერს. არ უნდა დავივიწყოთ ქვეყნის ნაკრები გუნდების ინტერესებიც, ფინანსური უზრუნველყოფის პრინციპებიც.

შემდეგ, კორესპონდენტის შენიშვნაზე, რომ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს ამჟამად ესოდენ მწვავედ აკლიათ საქართველოსა და ლიტვის საუკეთესო ფეხბურთელები, ვ. კოლოსკოვმა განაცხადა:

— ყველაფერი დამოკიდებულია თვით რესპუბლიკურ ფედერაციებზე, ჩვენ კი პრინციპი ერთი გვაქვს: ნაკრები გუნდები უნდა დაკომპლექტდეს საუკეთესო ფეხბურთელებისგან, იმის მიუხედავად, თუ რომელ მოკავშირე რესპუბლიკაში გამოდის ესა თუ ის მოთამაშე.

ერთი სიტყვით, ყველაფრიდან ნათლად ჩანს, რომ ვ. კოლოსკოვის საქმიანობაში ხიჯიუტემ ადგილი დაუთმო რაციონალურ გონებას, ფედერაციის თავმჯდომარე მიხვდა, რომ რესპუბლიკების დამოუკიდებელ ფედერაციებთან და კლუბებთან დონკიხოტური ბრძოლა მას არას არგებს, ამიტომაც იკადრა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია...

რედაქციისაგან: ეს წერილი ქვეყნდება მხოლდ იმისათვის, რომ მკითხველმა იცოდეს ვითარება, რაც დღეს შეიქმნა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში. **რაც შეეხება ჩვენ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და სპეციალისტებმა უკეთ იციან, რა პოზიცია დაიკავონ და როგორ იმოქმედონ.**

ფრე და გამარჯვება

(დასასრული)

ბთან შეხვედრის პირველი პერიოდის ანგარიში მართლაც დასტური იყო გ. ზუმბულიძის სიტყვებისა. დიახ, როცა წყალბურთელები პირველად გავიდნენ შესვენებაზე, სხვაობა ანგარიშში საბჭურთიანი იყო — 5:2 თბილისელთა სასარგებლოდ, მაგრამ მომდევნო პერიოდი ჩვენმა წყალბურთელებმა სუსტად ჩაატარეს, თუმცა შეინარჩუნეს მინიმალური უპირატესობა — 8:7.

მომდევნო ცხრა წუთის განმავლობაში დინამოელები შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, რეალური საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს დავითიანმა, რამიშვილმა, ჩომახიძემ, მაჭავარიანმა, მაგრამ, იმავე რამიშვილმა (2) და ბითაძემ, კარგად გამოიყენეს დავითიანისა და კანდელაკის ზუსტი პასები, თანაგუნდელები დაანწინაურეს, მალე შევცოვმა და კოვალიოვმა (2), ერთ ბურთამდე შეამცირეს ანგარიში — 11:10.

ბოლო პერიოდი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და ჩომახიძემ კიდეც გაიტანა გოლი, მაგრამ თბილისელებმა ვერ შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება, რაც უმთავრესად ბეზვერხიხის „ბრალია“ — მან ორი ლამაზი ტყორცნით გაათანაბრა ანგარიში. 12:12 — ასე დამთავრდა ეს საინტერესო შეხვედრა.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ალმა-ათა) — 12:10 (1:1, 4:2, 4:4, 3:3). 9 სექტემბერი.

თბილისელთა გუნდმა ეს მატჩიც იგივე შემადგენლობით ითამაშა, ხოლო ალმა-ათის „დინამომ“ ამ მოთამაშეებით ჩაატარა შეხვედრა: ჩერნოვი, შერტვიცკი, სევასტიანოვი, პიაკი, ლოშკიანი, შულმანი, იამბერლენოვი, ზაბოროვსკი, ორაზალორნოვი, ფეოდოროვი, ჩერნოუსოვი, ზაგორლუკოვი, მარგოლინი.

მსაჯები: რ. ესაიანი (ერევანი), ი. ანციფეროვი (ლენინგრადი).

ალმაათელ თანაკლუბელებთან საბრძოლველად თბილისელები საკუთარ ძალებში დარწმუნებულები გამოვიდნენ, რაც შეხვედრის დასაწყისშივე გამოჩნდა. ჩვენმა წყალბურთელებმა თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს, თუმცა პირველ პერიოდში მოასპარეზეებმა თითო გოლი გაცვალეს. ეტყობოდა, ალმაათელებს თანდათან უფრო უჭირდათ თბილისელთა ელვისებური შეტევების მოგერიება. ასეც მოხდა: რამიშვილმა (2), ბითაძემ და დავითიანმა ოთხი ბურთი გაიტანეს ჩერნოვის კარში, რასაც მეტოქემ ორით უპასუხა — 5:3. ასე დამთავრდა მეორე პერიოდი. ბოლო ორი ცხრაწუთიანი ტაიმის განმავლობაში თბილისელთა უპირატესობა საგრძნობი გახდა. უბრალოდ, ჩვენი ბიჭები იმას აკეთებდნენ, რაც სურდათ. ზუსტად თამაშობდა როგორც დაცვის, ასევე წინა ხაზი და შეხვედრაც ლოგიკური შედეგით დასრულდა. 12:10 — ასე დაამარცხეს თბილისელებმა თავიანთი ერთერთი ძირითადი კონკურენტი.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 5:10; უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 16:7, „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 7:9, „დინამო“ (კიევი) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 11:12, „დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 7:10, „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 7:12.

სევასტოპოლში პარალელურად მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის მეორე ჯგუფის გუნდების შეხვედრები. გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს: ცსკ სსრ — „დინამო“ (ლვოვი) 16:8, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „მოსკვიჩი“ 8:7, „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკ სსფ 12:10, ცსკ სსფ — „მოსკვიჩი“ 16:10, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) 16:13, „ტორპედო“ — კწფ (ბაქო) 8:10. ცსკ სსფ — „ტორპედო“ 17:15, „დინამო“ (მოსკოვი) — „მოსკვიჩი“ 11:7, „დინამო“ (ლვოვი) — კწფ 18:11.

გუშინ...

ტურის მეოთხე მატჩში თბილისის „დინამო“ შეხვდა კიევის „დინამოს“ და დამარცხდა — 8:12.

„კარატე — შიშველი ხელი?!“

„ვინც დაო-ს ბგერებში უსმენს: მისთვის დახშულია იგი“.

(ლაო ძი)

უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ტოტალურმა იდეოლოგიზაციამ მძიმე კვალი დაჩნია აღმოსავლურ ორთაბრძოლათა განვითარების საქმესაც.

ყველაფრის ე. წ. „მასებისათვის“ ხელმისაწვდომად გადაქცევის, მათთვის გასაგებ ენაზე „თარგმნის“ აუცილებლობამ (?!) გააბატონა ვულგარულ-მატერიალისტური, პრიმიტიული მიდგომა საუკუნეებით შემოწმებული ფასეულობებისადმი და გამოიწვია დაკნინება — ცხადია, არა ამ ფასეულობათა, არამედ — ისევ და ისევ ხალხის სულიერებისა, ჰუმანური საწყისებისა ჩვენში.

ასეთმა დამოკიდებულებამ, ასეთმა მიდგომამ დაღი დასასვა თავის დროზე ძიუ-დოს — იაპონელთა ეროვნულ სიამაყეს. საბრძოლო ხელოვნების ამ ერთ-ერთ უშესანიშნავეს სახეობას ჩვენში (ნაწილობრივ — ევროპაშიც) გამოეცალა მისი ორგანული (და იქნებ უმნიშვნელოვანესიც) ნაწილი — **ფილოსოფიური არსი** და იგი, ადამიანის ჰეშმარიტად ჰარმონიულად (ერთდროულად ფიზიკური, გონებრივი და სულიერი) აღზრდის ეს დახვეწილი სისტემა იქცა სპორტის ერთ-ერთ ჩვეულებრივ სახეობად — ცალმხრივი (მხოლოდ ფიზიკური) განვითარების საშუალებად. „ჩვენებურმა“ ძიუ-დომ დაკარგა არა მარტო გარეგნული ესთეტურობა, არამედ შინაგანი ზნეობრიობაც, რაც ასე დამახასიათებელი იყო „იაპონელი წინაპრისათვის“. ტყუილად როდი შეუძლია მსაჯს, იაპონური წესების თანახმად, გამარჯვება მიანიჭოს ერთი შეხედვით ნაკლებად ძლიერ, მაგრამ უფრო „ღირსეულ“ (მოწესრიგებულ, „ლამაზად“ მებრძოლ, რაინდული სულის წარმომჩენ) მეტოქეს. განა ეს არ მიუთითებს **იმაზე,** რომ ძიუ-დოში მთავარი — ფიზიკური და ტექნიკური ძლიერება კი არა, ესთეტურობა, შინაგანი სულიერი სიძლიერე და ზნეობრიობაა?! მაგრამ ეს წესიც თანდათან დავიწყებას ეძლევა. მთავარი გახდა „მისი უდიდებულესობა“ ქულა...

...ასევე დაემართა 70-იან წლებში კარატესაც.

საკავშირო ფედერაციის დაარსებისთანავე, ჩვეულებისამებრ, „დაჩქარებული ტემპით“ და „ფართო ფრონტით“ „გაიშალა მოძრაობა“ სპორტის ახალი სახეობის მასობრიობისათვის, რადგან, არსებული დოგმატების თანახმად, რაოდენობრივი მაჩვენებლები აუცილებლად უნდა გადაქცეულიყო ხარისხობრივ მაჩვენებლად და მაშინ ჩვენ კიდევ ერთ სახეობაში ვიზეიმებდით საბჭოთა სპორტის მაღალ მიღწევებს. იაფფასიანი რეკლამის შინაარსი და ქვეტექსტი დაახლოებით ასეთი იყო: „ნუ დაგაფიქრებთ უცნაური ტერმინები და იაპონური რიტუალი— ეს ყველაფერი აღმოსავლური კოლორიტია, სოციალიზმისათვის მიუღებელი ძველებური მისტიციზმის გამოძახილი. ფილოსოფია, ჰუმანიზმი კარატეში — ბლეფია, სამურაების მიერ ხალხის გასაბრუებლად მოგონილი; ან რა ჰუმანიზმზე შეიძლება ლაპარაკი ორთაბრძოლის დროს, როდესაც მთავარი — მოწინააღმდეგის დამარცხებაა?! ჰოდა, თუ ამ „აღმოსავლურ ეშმაკობას“ ყურადღებას არ მივაქცევთ, სინამდვილეში ყველაფერი ძალზე მარტივია: „კარა“ — „ცარიელს“ ნიშნავს ანუ შიშველს, შეუიარაღებელს. „ტე“ — ხელს, ე. ი. „კარატე“ — ესაა ბრძოლა შიშველი (შეუიარაღებელი) ხელით, ანუ „იაპონური სამბო“, ოღონდ — ძირითადად დარტყმებზე დაფუძნებულ. დარტყმა შეიძლება ხელითაც, ფეხითაც, თავითაც — ე. ი. გამარჯვების მოსაპოვებლად თითქმის ყველაფერია დასაშვები. ასე რომ, აქ არავითარი საიდუმლო არ არსებობს და ძნელიც არაფერია. ჩვენი კარატე აუცილებლად უნდა გავიდეს საერთაშორისო სარბიელზე და მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს საბჭოთა სპორტსმენების უნივერსალური სიძლიერე! ფართო გზა მასობრივ კარატეს!“

მაგრამ მასობრივ მოძრაობას რას გასწვდებოდა კარატეს ოსტატთა ის უმნიშვნელო რაოდენობა 70-იან წლებში რომ არსებობდა?! ჰოდა, დაიწყო სახელდახელოდ ორგანიზებულ 3-თვიან კურსებზე ე. წ. „კარატეს ინსტრუქტორების“ დაშტამპვა — ძირითადად სხვადასხვა სახეობებიდან გადმოსული სპორტსმენებისაგან, რომელთაც მანამდე კარატეს არსებობის შესახებ ყურმოკვრით თუ გაუგონიათ რამე. ცხადია, ასეთ მოკლე დროში, არა თუ ნამდვილი ცოდნის, არამედ მეტნაკლებად სრული ინფორმაციის მიღებაზეც კი ლაპარაკი ზედმეტი იყო და „შედეგმაც“ არ დაიყოვნა: „მასობრივი კარატეს“ პირმშონი სულ მოკლე ხანში აუტანელნი გახდნენ საზოგადოებისათვის. არავინ დაფიქრებულა იმაზე, თუ რატომ არ ჰქონიათ მსგავსი პრობლემები არასოდეს თვით ჩინეთს, იაპონიას, კორეას — ქვეყნებს, სადაც საბრძოლო ხელოვნების მიმდევართა რაოდენობა, ტრადიციულად, ასობით და ათასობით კი არა, ასეული ათასობით და მილიონობით განისაზღვრება. ყველაფერი კარატეს „შენიღბულ ხასიათს“ დაბრალდა და არა ჩვენსავე დაუფიქრებლობას და სულსწრაფობას. კარატეს ფედერაცია ისევე „ოპერატიულად“ გაუქმდა, როგორც დაარსდა, აიკრძალა კარატეს სწავლება და ეს სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა წლების განმავლობაში.

მაგრამ მალე ისიც ცხადი გახდა, რომ შეცდომა ჩვენსავე თავში უნდა გვეძებნა და აი, კარატემაც და მასთან ერთად აღმოსავლურ ორთაბრძოლათა სხვა სისტემებმაც კვლავ იხილეს დღის სინათლე ჩვენში. შეიქმნა არა მარტო სექციების ქსელი, არამედ ეროვნული გაერთიანებებიც — ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია, უ-შუს ფედერაცია, შოტო-კაის ფედერაცია და სხვა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კარგია და, შეიძლება, აუცილებელიც, მაგრამ უკეთეს მომავალზე ფიქრი და ზრუნვაც დღესვე გვმართებს: უნდა გვახსოვდეს — აღმოსავლურ ორთაბრძოლათა ხელოვნებაში დიდი სიბრძნეა დაფარული. რაც შეიძლება სრულად უნდა შევითვისოთ, უნდა გავითავისოთ ეს სიბრძნე; იგი დაგვეხმარება არა მარტო ჩვენი სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენაში, არამედ ჩვენივე გადაჭრილი ფესვების პოვნაშიც.

და თუმცა წლების განმავლობაში აღმოსავლური „ცოდნის წყაროც“ მოშლილი გვქონდა, საბედნიეროდ, ამას ჯერ კიდევ შეიძლება ეშველოს: ჯერაც ისევ — „ნათელი აღმოსავლეთიდან მოდის“.

წინაპაპს უთქვამს: როცა არხში წყალი წყდება, სათავეების ძებნა (მოხილვა) გვმართებსო...

იური ყეინაშვილი,
სპეციალურად „ლელოსათვის“.

(გაგრძელება იქნება)

რეიტინგი გაიუმჯობესა

ნიუ-იორკი აშშ-ის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში 19 წლის ამერიკელმა პიტ სამპრასმა და არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ მოიგეს. პირველმა გათამაშების ფინალში თანამემამულე ანდრე აგასი დაამარცხა — 6:4, 6:3, 6:2, მეორემ კი დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფი — 6:2, 7:6.

საბჭოთა სპორტსმენებმა ამ ტურნირში საკმაოდ სოლიდურ წარმატებებს მიაღწიეს. ეს, პირველ რიგში, ითქმის თბილისელ ლეილა მესხსა და უფელ ანდრეი ჩერკასოვზე, რომლებიც ასპარეზობას მხოლოდ მეოთხედფინალში გამოეთიშნენ. თანაც მესხი დამარცხდა აშშ-ის მომავალ ჩემპიონთან საბატინისთან საკმაოდ მძაფრი და უშეღავათო ბრძოლის შემდეგ. ასე იყო თუ ისე, ტურნირის რვა უძლიერეს ჩოგბურთელს შორის მოხვედრა თავისთავად დიდი წარმატებაა და ჩვენი ჩოგბურთელის კარგ შესაძლებლობებზე მეტყველებს. მესხმა აშშ-ის ჩემპიონატში გამოსვლით მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა თავისი რეიტინგი. თუ რომელ ადგილზეა ამჟამად მსოფლიო კლასიფიკაციაში, ამას სულ მალე გავიგებთ.

პირველი საერთაშორისო

მოსკოვში გაიმართა პირველი საერთაშორისო ამხანაგური ტურნირი ფეხბურთელ ქალთა გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ „ობერჰაუზენი“ (გფრ), „ცისფერი ვარსკვლავები“ (ციურიხი), „შტუტგარტი“ (გფრ), „ჩერნი“ (ლენინგრადი), პოლონეთი), „ნაირი“ (ერევანი) და მოსკოვის პროფკავშირების ნაკრები.

ტურნირის ფინალური მატჩი შედგა ქალაქ გუელში, სადაც დაამზადეს საპატიო პრიზები ტურნირის მონაწილეთათვის. შეჯიბრების გენერალური სპონსორი იყო ტურიზმის განვითარების რუსეთის კომერციული ბანკი.

ფინალში „ჩერნიმ“ დაამარცხა „ცისფერი ვარსკვლავები“ — 1:0. მოდევნო ადგილებზე გავიდნენ მოსკოველები, „ნაირი“, „ობერჰაუზენი“, და „შტუტგარტი“.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

გლაზგო. დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მეტოქემ უეფა-ს თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალში — შოტლანდიის „ჰართსმა“ — ეროვნული თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში მარცხი იწვნია „აბერდინთან“ შეხვედრაში — 0:3.

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის მეხუთე ტურში შარშანდელი ჩემპიონი „ბაიერნი“ შეხვდა ამჟამინდელ ლიდერს „კაიზერსლაუტერნს“. გაიმარჯვა ანგარიშით 4:0 და მეოთხე ადგილიდან პირველზე გადაინაცვლა. ახალ ლიდერს 8 ქულა აქვს, „კაიზერსლაუტერნს“ დარჩა 7, ხოლო „აინტრაჰტს“ და „შტუტგარტს“ 6-6 ქულა აქვთ.

როგორც ცნობილია, ფეხბურთელთა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, დასავლეთგერმანელი ლოთარ მათეუსი ბმვ-ს საავტომობილო ფირმას თავისი ახალთახალი მანქანით უნდა დაესაჩუქრებინა. მაგრამ მათეუსმა გაუგონარი გულუბრყვილობა გამოიჩინა და კორესპონდენტის შეკითხვაზე, რომელი მარკის ავტომანქანა მოგწონთ ყველაზე უფრო მეტადო, განაცხადა — „მერსედესი“.

როგორც კი ეს ფირმის ხელმძღვანელობამ გაიგო, უარი თქვა საჩუქრის გაცემაზე. ახლა „მერსედესის“ ფირმაზეა დამოკიდებული ეყოლება თუ არა ავტომანქანა მათეუსს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ჩოჩიშვილი, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 60435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

„სპორტლოტო“

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 36-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 5 (თავისუფალი ჰიდაობა), 33 (ფეხბურთი), 34 (ბალახის ჰოკეი), 37 (აკრობატიკა), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 42 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 8 (ველოსიპორტი, ტრეკი), 10 (წყალბურთი), 22 (წყალში ხტომა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 33 (ფეხბურთი).

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე